ოქმი:**ო03. 3724025001**
თარიღი:**25/01/2024**

ოქმი № 1

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომის

2024 წელი 22 იანვარი
ქ.ოზურგეთი
12.00 -12.30 საათი

თავმჯდომარეობდა: გელა ჩავლეშვილი- მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარე.

ესწრებოდნენ: კომისიის წევრები: ნ. ღაჟონია, ბ. თოიძე, ბ. მელუა, ნ. ქარჩავა, გ. შარაშენიძე, მ. ვაშალომიძე, ს. ქარცივაძე, ქ. ხომერიკი, ტ. აროშიძე.

სხდომის თავმჯდომარემ, კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

დღის წესრიგი

1. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის მიერ 2023 წელში გაწეული მუშაობის შესახებ.
მომხსენებელი: გელა ჩავლეშვილი

2. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის 2024 წელის სამუშაო გეგმის შესახებ.
მომხსენებელი: გელა ჩავლეშვილი

სხდომის თავმჯდომარემ, გ. ჩავლეშვილმა, კომისიის წევრებს მოკლედ მიაწოდა ინფორმაცია კომისიის მიერ 2023 წელში გაწეული მუშაობის შესახებ, აღნიშნა, რომ საანგარიშო პერიოდში სულ ჩატარებული იქნა კომისიის 25 სხდომა, რომლებზედაც განხილული იქნა 30-ზე მეტი საკვანძო საკითხი, მათზე მომზადდა და საკრებულოს სხდომას წარედგინა შესაბამისი დასკვნები, კომისიის შენიშვნები და რეკომენდაციები გათვალისწინებული იქნა მუნიციპალიტეტის მერიის მიერ, მათ შორის წყალანირებისა და კანალიზაციის, შიდა გზების რეაბილიტაციაზე. კომისია ისმენდა და აფასებდა მერიის შესაბამისი სამსახურების ანგარიშებს, განიხილავდა და შესაბამის გადაწყვეტილებებს იღებდა კომისიაში შემოსულ კორესპონდენციაზე, აქტიურად თანამშრომლობდა არასამთავრობო ორგანიზაციებთან.

კომისიის წევრებმა იმსჯელეს და ცნობად მიიღეს კომისიის მიერ 2023 წელში გაწეული მუშაობის ანგარიში.

სხდომის თავმჯდომარემ გ. ჩავლეშვილმა კომისიის წევრებს დეტალურად გააცნო 2024 წლის სამუშაო გეგმა, კომისიის წევრებმა იმსჯელეს და მხარი დაუჭირეს მის წარდგენას საკრებულოს ბიუროს სხდომაზე დასამტკიცებლად.

გადაწყვიტეს:

1. კომისიის სხდომის დღის წესრიგში შეტანილი N1 საკითხი მიღებულ იქნას ცნობად.
2. N2 საკითხი განსახილველად და დასამტკიცებლად წარედგინოს საკრებულოს ბიუროს სხდომას.

გელა ჩავლეშვილი

საფინანსო-საბიუჯეტო კომისია-კომისიის თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი